სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება№3

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თერჯოლა 03.01.2019 წელი

ერთის მხრივ,

ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი
მისი დირექტორის:თამარი არჯევანიძის სახით

მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის გამზ. №109.
საიდენტიფიკაციო ნომერი: № 231 954221
ტელეფონის ნომერი: 599948255
ხაზინისერთიანანგარიში: TRESGE22
ანგარიშისნომერი: GE24NB0330100200165022
(შემდგომშიშემსყიდველი)

მეორეს მხრივ,

ი/მ ,,მირზა აბულაძე"
მის: თერჯოლის რაიონი სოფ: ძევრი
საიდენტიფიკაციონომერი: № 21001020046
ტელეფონის ნომერი: 596 10 58 58
მომსახურე ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:BAGAGEGE22
ანგარიშის ნომერი: GE87BG0000000836260300
(შემდგომშიმომწოდებელი)

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1]მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების შესაბამისად დებენ წინამდებრე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვისშესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და,,მიმწოდბელს"შორის დადებულიხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ ორგანიზაციას (დაწესებულებას), მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,მომსახურება"– ხელშეკრულებისმე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრისათვის ინტერნეტმომსახურება.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართი №1-ში (ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
2.3 კლასიფიკატორისკოდი – 72410000

3. ხელშეკრულებისღირებულება
3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 240-00(ორას ორმოცი) ლარს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.
4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომისანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".
4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზებისმითითებით.
4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები
5.1.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფასების ცხრილში მოცემული პარამეტრებისა და მითითებული მისამართის შესაბამისად, ა(ა)იპთერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრისათვის ინტერნეტმომსახურების გაწევა 2019 წლის 1 იანვრიდან, 2019წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი
6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ რაც განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშ ფაქტურის დადასტურება.

7. ანგარიშსწორება
7.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
7.2. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ ფაქტურის შემსყიდველისათვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. შემყიდველი ვალდებულია 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუდასტუროს ან უარი თქვას შესაბამისი დასაბუთებით ანგარიშ ფაქტურის დადასტურებაზე. ანგარიშ ფაქტურის შემსყიდველის მიერ დადასტურების შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა
8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთმხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
8.2 თუ რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ქვეკონტრაქტორები
9.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.
9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არათავისუფლებს,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემრაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაშიც ვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა უფლება–მოვალეობები
11.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
11.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
11.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვო სშემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
11.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
11.5.,,მიმწოდებელი" ვალდებულია იმ ლოკაციებზე სადაც არ არის დამონტაჟებული ინტერნეტ მიწოდებისათვის აუცილობელი მოწყობილობები მოადხინოს მისი მონტაჟი და ინსტალაცია. დამონტაჟებული მოწყობილობა მომსახურების გაწევის ვადით დროებით სარგებლობაში გადასცეს შემსყიდველს.
11.6.,,მიმწოდებელი" ვალდებულია იმ ლოკაციებზე სადაც უკვე ,,მიმწოდბელის" მიერ დამონტაჟებულია ინტერნეტ მიწოდებისათვის აუცილობელი მოწყობილობები დროებით სარგებლობაში გადასცეს შემსყიდველს მომსახურების გაწევის ვადით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)
12.1 ხელშეკრულები დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობი სშემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შ ესვლამდე.
12.3 თუ,,მიმწოდებლის" მიზეზით შეწყდება ინტერნეტის მიწოდება ან/და ზედიზედ ორი კალენდარული დღის განმავლობაში ინტერნეტის სიჩქარე იქნება ფასების ცხრილში მითითებულ სიდიდეზე ნაკლები, „მიმწოდებელს"

დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამურიღირებულების 05%–ის ოდენობით.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების2%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" გადაიხდის პირგასამტეხლოს, სახელშეკრულებო თანხის 40%-ისოდენობით.

12.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში,შემსყიდველ იიტოვებს უფლებას ფაქტიურად გასაწევი მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არა საგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

12.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გჯმოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალი ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღ მდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარეხელშეკრულებაძალაშიშედისხელშეკრულებისთავშიმითითებულითარიღიდანდამოქმედებს 2020წლის 31 იანვრისჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერმხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან

20.მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის	
დაცვის მუნიციპალური ცენტრის	
დირექტორი	ი/მ ,,მირზა აბულაძე"
---	---
თამარი არჯევანიძე	მირზა აბულაძე

N(N)LE TERJOLA MUNICIPAL CENTER FOR PUBLIC HEALTH Digitally signed by N(N)LE TERJOLA MUNICIPAL CENTER FOR PUBLIC HEALTH Date: 2019.01.24 16:50:53 +04'00'

Mirza Abuladze Digitally signed by Mirza Abuladze Date: 2019.02.12

დ ა ნ ა რ თ ი N1

კომპანია დამკვეთს უზრუნველყოფს შემდეგი ინტერნეტ სიჩქარით

გლობალურ ქსელთან დაშვების სიჩქარე	7 მეგაბიტამდე
ლოკალურ ქსელთან დაშვების სიჩქარე	20 მეგაბიტამდე
სერვისის ყოველთვიური ღირებულებაა	20 ლარი
ინსტალაცია+Wifi	0 ლარი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ 03.01. 2019 წელი

ქ.თერჯოლა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ

ჩამოთვლილი თითოეული, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სატელეფონო მოსახურების შესყიდვის მიზნით ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის მიერ მიმდინარე წლის 3 იანვარს(N3 ხელშეკრულება) განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვაში ი.მ „მირზა აბულაძე „ის მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
დაცვის მუნიციპალური ცენტრის

დირექტორი (თამარი არჯევანიძე)

შესყიდვების კოორდინატორი (მაგული აბულაძე)